პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფილისის უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

№17 | 31 ოქტომბერი, 1935 წელი | №53

დღეს ნომერში

- — იყავ თავაზიანი (მოწინავე)
- — საბჭოს წევრთა საანგარიშო მოხსენება
- — ქართული ენის კულტურისათვის (პროფ. ა. შანიძე)
- — რა მოხდა ორი ათასი წლის წინათ (დოც. ს. ჯანაშია)
- — აბისინია (პროფ. გ. გეხტმანი)
- — ვაჟა ფშაველა (პროფ. მ. ზანდუკელი)

იყავ თავაზიანი!

ეს ახალგაზრდა ადამიანები ჩვენში გულისტკივილსა და უკმაყოფილებას იწვევს. ჩვენ ვწითლდებით. ჩვენ ზიზღს გამოვხატავთ, როცა მათ ვუსმენთ.

მიამიტი ობივატელი მზად არის ამ თავგასულ ახალგაზრდებში დაინახოს თვისებები, რომლებიც თითქოს მთელ ახალგაზრდობას ახასიათებენ. ეს, რა თქმა უნდა, ცილისწამებაა. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანისათვის უცხოა სიტლანქე, თავხედობა, ლაქლაქი.

მაგრამ ასეთი ახალგაზრდა ადამიანები არიან. მათ ჩვენ ვხვდებით სამქროში, ქუჩებში, ტრამვაიში, ბალებში.

სამქროში ასეთი თავისთავით კმაყოფილი და დაუდეგარი ახალგაზრდა კაცი ყოველ წვრილმანზე აყენებს შეურაცხყოფას ოსტატს. მას ეუბნებიან, რომ დაზგა მისი მიზეზით უშვებს წუნს, ის კი გაბოროტებული იღრინება. წუნის გამომწვევი ათასგვარი გინებით ამკობს ოსტატს. შურისძიების ნიშნად მან უფროსი ამხანაგი მონათლა შეურაცხმყოფელი ზედმეტი სახელით.

იგი მუშაობის დროს იპრება სამქროს უფროსთან და სრულიად უსაფუძვლოდ უხეშად მოითხოვს უფრო მაღალ თანრიგში გადაყვანას, ხოლო როცა უფროსი სამართლიანად ეუბნება უარს, იგი სკანდალს აწყობს და „ზემდგომი ორგანიზაციებით“ ემუქრება.

თქვენ ხშირად გაიგონებთ, რომ უფროსი მუშის საქმიან შენიშვნაზე საპასუხოდ იგი ზიზღით ამბობს: „დროა კრემატორიუმში გაიგზავნოსო“.

მნორმავი, მისი აზრით, „სისხლისმსმელია“, რომელსაც მაგრად უნდა შეუკურთხო,

ოჯახში იგი უხეშია, უდიერად ექცევა მამას და დედას. მშობლები, მისი აზრით, მხოლოდ იმისათვის არსებობენ, რომ მოუარონ მას. თუ დედამ რაიმე მიზეზის გამო თავის დროზე ვერ დაამზადა სადილი, იგი უტიფარი თავხედობით დაუწყებს მას დაცინვას:

ნაცნობ ქალიშვილებზე ის ცინიკურად ლაპარაკობს.

ავტორიტეტები მისთვის არ არსებობენ. რას ნიშნავს მისთვის ოსტატი, სამქროს უფროსი, საუკეთესო დამკვრელი! ეს თავის თავზე შეყვარებული კაცუნა ფიქრობს, რომ იგი ყველაზე მაღლა დგას.

როცა ტრამვაიში ადგილი თავისუფლდება, იგი თავქუდმოგლეჯილი გარბის იქითკენ და მუჯლუგუნს ჰკრავს მოხუცებსა და ქალებს.

რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანები ცოტანი არიან. მაგრამ სიტლანქის, თავხედობის, მედიდურობის ცალკეული ნიშნები ახასიათებენ ჩვენი ახალგაზრდობის, როგორც ვაჟების, ისე ქალების, ერთ ნაწილს.

განა არ არიან ჩვენში ისეთი ახალგაზრდა ქალები, რომელთა ლექსიკონი აჭრელებულია გინების სიტყვებით? განა არ არიან ჩვენში ისეთი ახალგაზრდა ქალები, რომლებიც თავხედურად და გამომწვევად ეპყრობიან უფროსებს, უზრდელი, უხეში ახალგაზრდა ქალები?

ასეთი ქალიშვილებისათვის ძნელი არაა წაუჯიკავონ ქუჩაში მიმავალ ბავშვებს, გვერდი გაკრან მოხუცს ბოდიშის მოუხდელად, ესროლონ უხეში სიტყვა ვაჟს.

თავხედობა, სიტლანქე, უზრდელობა, უკულტურობა ყოფაცხოვრებაში უცხოა ბუნებით ჩვენი მოწინავე, მსოფლიოში ყველაზე უფრო კულტურული ქვეყნის ახალგაზრდა თაობისათვის. ეს საზიზღარი თვისებები მემკვიდრეობით დაგვიტოვა წვრილმა მესაკუთრემ, ბურჟუამ და ლუმპენ-პროლეტარმა (კაპიტალისტური მსოფლიოს დეკლასირებული ელემენტები). ეს თვისებები ჩვენს აწმყოში წარსულიდან მომდინარეობენ. ისინი უცხო ზნეჩვეულებათა ბინძური ნამსხვრევებია, რომლებიც ჩვენს სახლში მოხვდა.

იმ ახალგაზრდას, რომელიც სამქროს უფროსთან იპრება და სრულიად უსაფუძვლოდ მოითხოვს თანრიგის გადიდებას, სურს გზა გაიკვლიოს არა ცოდნის შეძენით, არა თავისთავზე მუყაითი მუშაობით, არა პატიოსანი შრომით, არამედ თავხედობით, ყვირილით. ამ შემთხვევაში სიტლანქე ერთგვარი ნიღაბია, რომლითაც ადამინს სურს დაფაროს თავისი სურვილი—არ იმუშაოს პატიოსნად. მას სურს მოტყუებით, სკანდალით, არა პატიოსანი შრომით გაიტანოს საქმე.

შორეულ, შავბნელ წლებში, იმისათვის, რომ კაცი გამხდარიყავი, უფრო ხშირად საჭირო იყო სიცრუე, შენი სინდისის და ამხანაგების გაყიდვა. რუსეთის ვაჭრის, ფაბრიკანტის განუყრელ თვისებას წარმოადგენდა სიტლანქე და თავხედობა. ეს თვისებები ტიტ ტიტიჩების უპირველესი სიქველეა. ოსტროვსკის მიერ აწერილ ვაჭრების, რუსეთის ბურჟუაზიის ტიპები გზას იკაფავდენ თავხედობითა და სიტლანქით.

ბურჟუაზიის სოციალური ბუნებისათვის უცხოა ადამიანური ღირსების გრძნობა. მისთვის უცხოა ადამიანის პატივისცემა. ადამიანი კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქონელია, რომელიც შეიძლება იყიდო და გაყიდო. ჩვენს ქვეყანაში ადამიანმა პირველად იგრძნო თავისით თავი ნამდვილ ადამიანად, ბუნების ბატონპატრონად, შემოქმედად. ადამიანი ჩვენს სამშობლოში ყველაზე ძვირფასი კაპიტალია. ყველაფერი კეთდება მისთვის, მისი ინტერესებისათვის, მისი გაფურჩქვნისა და განვითარებისათვის.

და მხოლოდ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვლაპარაკობთ ძლიერი ხმით ნამდვილ ადამიანურ ღირსებაზე, ნამდვილ ურთიერთ პატივისცემაზე ადამიანებს შორის, ამხანაგებს შორის.

წვრილი ბურჟუა-მესაკუთრის თვისებებს ამჟღავნებს ის ახალგაზრდა, რომელიც დასცინის მშობლებს, ბოროტად და სულელურად დასცინის მოხუცებს. წვრილი ბურჟუა მუდამ იყო უგვარო და უტომო ადამიანი. ჩვენს მეხსიერებაში ცოცხლობს გლეხის ქონების გაყოფის საშინელი სცენები. „ეგორ ბულიჩევში“ მაქსიმ გორკიმ გვიჩვენა, თუ როგორ წარმოებს ნათესავის გაუცივებელ ცხედართან საზიზღარი ვაჭრობა—ბრძოლა მემკვიდრეობისათვის.

ყოველივე ეს ისეთი მოვლენებია, რომლებიც წარმოუდგენილია ჩვენში.

უფროსმა თაობამ მოგვიპოვა ბედნიერი ცხოვრება, და ჩვენი გული ალვსილია მადლობით უფროსი ამხანაგებისადმი. დეე, ეს პატივისცემა გამოსჭვივოდეს დიდ და პატარა საქმეში. დეე, იგი მჟღავნდებოდეს სხვათაშორის იმაშიაც, რომ ახალგაზრდა მუშამ სამქროში დაეხმაროს ხანშიშესულს ტვირთის აწევაში, დაუთმოს ადგილი ტრამვაიში უფროს ამხანაგს.

სიტლანქე და უზრდელობა, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება ჩვენს წინააღმდეგაც მობრუნდეს. მუდამ ხომ ახალგაზრდები არ ვიქნებით,—ჩვენც შეგვეცვლება თმა. ჩვენც გაგვახარებს ოდესმე ახალგაზრდობის ყურადღებით მოპყრობა.

დეე იყოს ჩვენთვის მაგალითი წითელი არმიის მეთაურებისა და მეომრების უზადო თავაზიანობა და ტაქტიკური მოპყრობა.

ჩვენ გადაჭარბებულ თავაზიანობას ვიჩენთ უხეში ადამიანის მიმართ. სულ ტყუილა! უხეშ ადამიანებს ლაგამი უნდა ამოვსდოთ. თავაზიანობა ახალგაზრდობაში უნდა დავნერგოთ და გამოვიმუშაოთ!

„კომ. პრავდას“ მოწინავე

საბჭოს წევრების ანგარიში

22 ოქტომბერს უნივერსიტეტის კლუბში სტუდენტთა გაფართოებულ კრებაზე ტფილისის საბჭოს მიერ 8 თვის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ ვრცელი და მეტად შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა პროფ. **ბერიძე**, ხოლო ანგარიშით—ამხ. **მენაბდე**.

მომხსენებელმა თავის შესავალ სიტყვაშივე აღნიშნა, რომ ტფილისის საბჭოს 8 თვის მუშაობა მიმდინარეობდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელის **ლ. ბერიას** მიერ მოცემულ მითითების განხორციელების ნიშნის ქვეშ „ტფილისი უნდა გახდეს ამიერ-კავკასიის სანიმუშო ქალაქი.“

ტფილისის საბჭომ მრავალი წარმატება მოიპოვა ამ ფრონტზე.

ამ ხნის განმავლობაში დამთავრდა ჩელიუსკინელთა სახელობის ხიდის მშენებლობა, მთავრდება კალიაევის აღმართის მშენებლობა რომელიც აკავშირებს ქალაქის ორ მხარეს.

გაცხოველებით მიმდინარეობს სანაპირო ქუჩის მშენებლობა და სხვა.

მომხსენებელმა სტუდენტობას გადაუშალა ჩვენი მშენებლობის ზრდის დამახასიათებელი მეტად საინტერესო ციფრები.

ასე, მაგ., სახალხო განათლების საქმეზე ტფილისში მიმდინარე წელს ბიუჯეტით გადადებული იყო 24.400 ათასი მან.; აშენდა 7 საუკეთესო სასკოლო შენობა (6 ათას მოსწავლისთვის), სკოლებს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი.

მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 8000-ით. თუ წინეთ საბავშო ბაღებში გვყავდა 10 ათასი ბავშვი ახლა 13 ათასია.

მოხსენებისა და ანგარიშის ბოლოს გამართულ კამათში ამხანაგები მიუთითებდენ მთელ რიგ ნაკლზე: სტუდენთა ქალაქში სასადილო არ მუშაობს წესიერად, კერძების ფასები ასწიეს მიუხედავად იმისა, რომ შაქრისა და ხორცის ფასმა იკლო, ტრამვაის მოძრაობა არა დამაკმაყოფილებელია--ცოტაა ვაგონები.

სტუდენტთა აბანო არ დგას თავის სიმაღლეზე, საერთო ბინებში სტუდენტები ხშირად არღვევენ წეს რიგს და სხვა.

ილ. გურაშვილი

* * *

შურა მენაბდე

ტფ. მუშებისა და წით.-არმიელთა (მე-2-ე მოწვევის) საბჭოს წევრი

როგორ ვმუშაობ...

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დამაკისრეს მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობა. ამირჩიეს მეორე მოწვევის, ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს წევრად.

რამდენად შევასრულე დაკისრებული მოვალეობა?

თუ რამდენად შევასრულე 22 ოქტომბერს ამომრჩევლების წინაშე ჩაბარებული ანგარიშში გამოირკვა.

აი, რა გავაკეთე კონკრეტულად.

გამოვარკვიე საბურთალოს არასრული საშუალო სკოლის მდგომარეობა. ღრმად შევისწავლე პარტიის ცეკასა და მთავრობის დადგენილების რეალიზაციის მიმდინარეობა სკოლების სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფის შესახებ, კიროვის სახელგამის რაიგანყოფილების მაგალითზე გამოვარკვიე ფულადი სახსრების მობილიზაციის მდგომარეობა.

დავაყენე საკითხი სტუდენტთა ქალაქის მე-8-ე კორპუსის ოთახების გამწვანების შესახებ, რაც ამ დღეებში მოგვარდება. ვეხმარებოდი სტუდენტთა ბიუროს წესრიგისა და სისუფთავის დაცვის საქმეში.

არ დავკლებივარ ტფილისის საბჭოს კულტსექციის და სადეპუტატო ჯგუფის არცერთ პლენუმს.

ამომრჩევლებმა ბევრი ახალი დავალებები მომცეს, ბევრ რამეზე მიმითითეს. უნდა ვთქვა, რომ საანგარიშო კამპანიამ მეტად წამახალისა და დამაინტერესა, გაასკეცა ჩემი პასუხისმგებლობა ამომრჩევლების წინაშე.

ვიძლევი სიტყვას, რომ ვიბრძოლებ ამომრჩევლების მითითების ასი პროცენტით განხორციელებისათვის.

პროფ. აკაკი შანიძე

ქართული ენის კულტურისათვის

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. **სტალინის** მიერ ფართო მასებში ყველას სახელმძღვანელოდ გადასროლილი სიტყვები „შინაარსით სოციალისტურისა და ფორმით ნაციონალურის“ შესახებ ერთ დიდ მოვალეობას აკისრებს ყველას. ეს გახლავს დედაენის ყოველმხრივი შესწავლა და დაუფლება სოციალისტურ მშენებლობაში გამოსაყენებლად. ენა, როგორც საუკეთესო იარაღი საზოგადოებრივი ურთიერთობის დასამყარებლად, უნდა იყოს მკვეთრი, ყოველმხრივ მოქნილი, რომ თანამედროვე კულტურული ადამიანის აზროვნების ყოველგვარი ნუანსი ადვილად გამოხატავს.

ქართული ენა ერთ განვითარებულ ენათაგანია. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იგი სალიტერატურო ენა იყო და მრავალი ცოცხალი კილოს მასალების გამოყენებით, ერთი მხრით, და უცხო ენათაგან სესხების გზით, მეორე მხრით, მან შეძლო დაეგროვებინა უამრავი მარაგი სიტყვიერი მასალისა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებს ჩინებული მომსახურეობა გაუწიოს.

ოღონდ საჭიროა, რომ ამ ენას დაეუფლონ მასები, საჭიროა, რომ იგი ყველასათვის მოქნილი იარაღი იყოს. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს მის სათანადოდ შესწავლას უმაღლეს სასწავლებლებში და კერძოდ ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც თავმოყრილია მრავალი ახალგაზრდა, რომლებიც მომავალში ჩაბმულნი იქნებიან ჩვენი ქვეყნის მშენებლობის სხვადასხვა დარგში. მათი მოღვაწეობა, მათი საქმიანობა და მუშაობის ხარისხი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეცოდინებათ ქართული ენა.

გამოცდილება გვეუბნება, რომ ჩვენმა სტუდენტობამ სუსტად იცის ქართ. ენა, დიდი უმეტესობა ვერ ახერხებს აზრის გამართვას, სათანადო სიტყვების მონახვას, წინადადების ერთი მეორეზე მოხდენილად გადაბმას, სასვენი ნიშნების თავის ადგილას ხმარებას და სხვ.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ყოველი დარგის სტუდენტს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე შეუძლებელია მეცნიერების სათანადოდ შეთვისება და მისი გამოყენება ცხოვრებაში. ამასთანავე ერთად მან უნდა იცოდეს, კარგად იცოდეს, რომ მას ვერავინ შეასწავლის ვერც კარგად მსჯელობას, ვერც გამართულად ლაპარაკს, ვერც აზრიანად წერას, და სხვ.,—ყველა ეს მან უნდა შეითვისოს თავისი შრომით, თავისი მონდომებით, თავისი დაკვირვებით. მასწავლებელს მხოლოდ ის შეუძლია, რომ დაეხმაროს და გაუადვილოს მას სხვადასხვა საკითხის შესწავლა და დაძლევა.

ამ მიზნით ჩვენ ვიწყებთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სერიას წერილებისას, სადაც გაშუქებული იქნება სხვადასხვა ორთოგრაფიული, სინტაქსური და სტილისტური საკითხები.

დოც. ს. ჯანაშია

რა მოხდა 2000 წლის წინათ საქართველოში *)

მდგომარე წელს საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიაში ერთი წლისთავი შესრულდა. მისთვის ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა ზეიმს არ გადაიხდის, არც სპეციალურად აღნიშნავს მას. საიუბილეო აქ არაფერია. ისე-კი უეჭველად საჭიროა რომ ყურადღება მივაქციოთ ამ თარიღის ქვეშ დამალულ ამბავს და სწორი მეცნიერული შეხედულება შევიმუშაოთ ამ მოვლენისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

65 წ., ძველი წელთაღრიცხვით, ე. ი. სრული ორი ათასი წლის წინათ (65+1935), საქართველოში რომის მფლობელობა დამყარდა. ამ ამბავს ღრმა მიზეზები და გრძელი ისტორია ჰქონდა.

იმდროინდელ ამიერ-კავკასიისა უახლოესი ქვეყნების სურათი ასეთია. კავკასიონის ჩრდილოეთით სარმატიაა, სადაც სხვადასხვა მეჯოგე ტომი ბინადრობს; კავკასიონის სამხრეთით, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სამი ქვეყანა ჩამწკრივებულა—კოლხეთი (დას. საქართველო შორაპნამდე), ივერია ანუ ქართლი (აღმ. საქართველო, შორაპნიდან ალაზნამდე) და ალვანია (თანამედროვე საბჭ. აზერბაიჯანი). ამ ქვეყნებს სამხრეთიდან უშუალოდ მოსდგამს სამი დიდი სახელმწიფო—პონტოს სამეფო (თანამედროვე თურქეთის ნაწილი, შ.-ზღვ. სამხრეთი სანაპირო პროვინციები), არმენია (თანამედროვე საბჭ. სომხეთი და ვრცელი ტერიტორია, მის სამხრეთით მდებარე) და პართია (თანამედროვე ირანი, მეტნაკლებად).

ამ ქვეყნებს დასავლეთიდან თანდათან უახლოვდებოდა რომი, რომელსაც დიდიხანია გადალახული ჰქონდა იტალიის ფარგლები და შეუჩერებელი ტერიტორიული გაფართოების გზას ადგა, იმჟამად უკვე აზიაშიც. კონფლიქტი რომსა და აღნიშნულ ქვეყნებს შორის აუცილებელი იყო.

პირველი შეტაკება რომსა და პონტოს შორის მოხდა. პირველი საუკ. დამდეგისათვის პონტო მეტად იყო გაძლიერებული. მას დაპყრობილი ჰქონდა არა ერთი მეზობელი რაიონი, სხვათა შორის კოლხეთიც, ხოლო არმენიასა, ივერიასა და ალვანიასთან სამხედრო კავშირში იმყოფებოდა. ამ ძალებზე დაყრდნობით პონტო შეტევაზედაც გადადის რომის წინააღმდეგ და, ერთი პირობა სჯობნის კიდევაც მას. მაგრამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რომმა მაინც მოახერხა მოწინააღმდეგის დამარცხება. რომაელმა სარდალმა პომპეუსმა დაიპყრო პონტო და მისი მეფეც. ნიჭიერი ორგანიზატორი და მეომარი მითრიდატი თავის სამფლობელოდან გააძევა.

შემდეგ პომპეუსი მითრიდატის მოკავშირეებს მისდგა და შუბების წვერით რომაული დროშა აფრიალა მთელ ამიერ-კავკასიაში, კერძოდ, ივერიასა და კოლხეთშიც. ივერიაში სისხლისმღვრელი ბრძოლა მომხდარა: რომაული ცნობით, ქართველებს თითქოს 9000 კაცი მოუკლეს და 10000 ტყვედ წაართვეს. დას. საქართველოში რომაელებს, ჩანს, წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. დამოკიდებულებაც სხვადასხვაგვარი დამყარდა: ივერია რომის „ფედერატად“ იქცა, რომელსაც მხოლოდ სამხედრო სამსახური ეკისრებოდა, კოლხეთი-კი, ჩანს, ხარკსაც იხდიდა. ამის მიზეზი ის იყო რომ კოლხეთის კონტროლი ბევრად უფრო ადვილი იყო რომაელებისათვის და, გარდა ამისა, ისინი ამ ქვეყანას თავის მთავარი მტრის, მითრიდატის, სამფლობელოს ნაწილად სთვლიდენ.

რამ მოიყვანა რომი აზიაში და, კერძოდ, ამიერ-კავკასიაში? რა აინტერესებს მას ამ ქვეყანაში? თავისთავად ცხადია, იმდროინდელ რომის აგრესია ძირითადად სხვა ხასიათისა იყო, ვიდრე თანამედროვე იმპერიალისტური იტალიის ახალი აგრესია აღმოსავლეთში, რომლის მოწამენიც ამჟამად ჩვენა ვართ. მაშინდელი რომი მონათმფლობელების სახელმწიფო და მისი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა მონათმფლობელების ინტერესებს უპასუხებს.— ასევე—საგარეო ომებიც: ესენი ყველაზე ხელსაყრელი წყაროა მონათა მოპოვებისათვის, რაც რომის გაბატონებულ კლასის მეურნეობის საარსებო საჭიროებას აკმაყოფილებს. ასევე ომები იძლევიან ოქროსა და სხვა „სათასესაც,“ რაც მნიშვნელოვანია რომის მუდამ პასიურ საგარეო-სავაჭრო ბალანსის განსამართავად. საგარეო ომები რომის გაბატონებულ კლასისათვის საჭიროა აგრეთვე, რათა შინაგანს კლასობრივს, ამ დროისათვის მეტად გართულებულსა და გამწვავებულს, წინააღმდეგობას პირი ქვეყნის გარეთ უქციოს და სხვის ხარჯზე შეანელოს იგი. საგარეო ომებს მოითხოვს რომის არმიაც, რომელიც დეკლასირებულ ელემენტებისგან შესდგება და რომელიც დავლასა და საშოვარზე ფიქრობს.

ამ ნადავლის, რომლის უდიდესი წილი, რა თქმა უნდა, თვით გენერლებს უვარდებათ ხელში, მნიშვნელოვან ელემენტს მიწა შეადგენს. დაპყრობილ ქვეყნების უზარმაზარ ტერიტორიებს სხვადასხვა წარჩინებული გვამები ითვისებენ, სხვადასხვა ფორმით.

ასეთივე ინტერესები ამოძრავებდათ რომაელებს აღმოსავლეთშიაც. ეს ინტერესები გადახლართულია აგრეთვე იმდროინდელი აზია-ევროპის საერთაშორისო ვაჭრობის საშუამავლო მოგების განუყოფელად ხელში ჩაგდების ცდასთან, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს მომდევნო საუკუნეებში, რომისა და ირანის ბრძოლაში.

ამიერ-კავკასიაში რომაელებს დამატებით აინტერესებდათ იმ გზების კონტროლის ჩაგდება ხელში, რომელთა საშუალებითაც კავკასიონის ქედის გადმოლახვა შეიძლებოდა. ეს გზები ისეთ ვიწრო ხეობებში გადიოდა, რომელთა გამაგრებაც ადვილი იყო. ასეთი იყო, მაგ., დარუბანდისა და დარიალის გზები. ამიტომაც; სხვათა შორის, მათ ყველა იმდროინდელი ხალხი კარებს ეძახის (ქართ.—„კარი,“ სომხ. „დურნ,“ ბერძნ. „პილაი,“ ლათ. „პორტე“). ვის ხელშიაც ამ კარების „გასაღები“ იყო, მას შეეძლო თავის ნებით გადმოეშვა ან არ გადმოეშვა ჩრდილო-კავკასიელი ტომები, რომლებიც ჩინებულს ქირის ჯარის მასალას წარმოადგენდენ და რომელნიც უაღრესად საშიშნიც იყვნენ, მტრობის პირობებში. სწორედ ამიტომ რომაელები ამ.-კავკ. ქვეყნების მმართველ წრეებისგან, უწინარეს ყოვლისა ამ კარების გამაგრებას მოითხოვენ.

მაგრამ ამ გზებს დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდათ: ჩრდ. კავკასია მონების უმდიდრეს წყაროს წარმოადგენდა. რომაელები მათ აქ დიდი რაოდენობით შოულობენ ზოგს ყიდულობენ ჩალის ფასად, ზოგს ხარკის სახით იღებენ (ერთს აქაურს პატარა ქალაქს, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული რომაელებისაგან, ამ უკანასკნელთათვის 10000 მონა შეუძლევია, შეწყალების სათასურად), ზოგს ყაჩაღურად იტაცებენ. უეჭველია რომ ამმხრივ აქ რომაელებმა ძალიან ფართო საქმიანობა გააჩაღეს და თავიანთი რეჟიმით ღრმად შეიჭრნენ დაპყრობილი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

მეტად დამახასიათებელი და საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, ერთი ამბავი, რომელმაც შემთხვევით მოაღწია ჩვენამდის. იგი მონების დიდ აჯანყებას შეეხება. ამ აჯანყების მეთაური ყოფილა ვინმე ანიკეტი, ადგილობრივი მონა-ბარბაროსი, ამჟამად-აზატი განთავისუფლებული). „მაწანწალების საკმაოდ მნიშვნელოვანი ბრბოთი“ (ასეთი სახელებით ცდილობს ამ ხალხის დამცირებას ოფიც. რომ. ისტორიკოსი) იგი შეიჭრა ქალაქ ტრაპეზუნტში, ამოჟლიტა იქ მდგარი რომაული რაზმი, დასწვა რომაული ფლოტი და ხელთ იგდო ეს სანაპირო. აჯანყებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმპერატორმა ვესპასიანემ (69—79 წ.წ., ახ. წ.), რომელმაც რჩეული ჯარები გაგზავნა აჯანყებული მონების წინააღმდეგ. აჯანყებულნი დამარცხდენ. ანიკეტმა თავი შეაფარა სედოხეზების მეფეს, რომელიც მას თავის მხარეს ჰყოლია გადმობირებული, ვითომც „ფულითა და საჩუქრებით.“ მაგრამ, ცხადია, ამ მეფეს თავისი საკუთარი (მაგ., რომაელთა საწინააღმდეგო პოლიტიკური) ინტერესები ჰქონდა და მონებს იგი ნამდვილ მოკავშირედ ვერ გამოადგებოდა. მართლაც, რომაელების ფულით მოსყიდულმა „სედოხეზების“ მეფემ გასცა ანიკეტი და მისი თანამოაზრენი, რომელთაც მტერი მდ. ხობის შესართავთან წამოეწია. „ასე მოელო ბოლო მონებთან ომს“-ო, გვიამბობს ცნობილი რომაელი ისტორიკოსი ტაციტი.

„ხობის“ სახელწოდება გვაფიქრებინებს რომ „მონების ომის“ უკანასკნელი ეპიზოდი ან თანამედროვე სამეგრელოში გათამაშდა, ან მეზობელ ჭანეთში. ასეთუისე, აღწერილი ამბები ჩვენს ქვეყანასაც უკავშირდებოდა და მის მდგომარეობასაც ახასიათებდა. 65 წ. მოყოლებული, აქ თითქმის განუწყვეტელ ამბოხებებს ვხედავთ რომაელების წინააღმდეგ.

რომაელთა მფლობელობამ გარკვეული გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე. კერძოდ, მან ხელი შეუწყო, გარკვეულ მიჯნამდის, საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ დიფერენციაციის პროცესის დაჩქარებას.

სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარება დასავლეთის ქვეყნებთან ნიადაგს უქმნის, კერძოდ, ცნობების გამრავლებას საქართველოს შესახებ ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში და ამით საშუალებას გვაძლევს შედარებით ღრმად ჩავწვდეთ საქართველოს ისტორიის ადრეულ ხანას და მისი მამოძრავებელი ძალები გამოვაშკარაოთ.

რომის საზოგადოების შიგნით უკვე იზრდებოდა ახალი პროგრესული ძალები, რომლებმაც სწორედ ამ „ბარბაროსებთან“ კავშირში და მათი უდიდესი დახმარებით, ააფეთქეს მონათმფლობელთა წყობილება და სახელმწიფო.

---

*) წერილი იბეჭდება ისტორიულ ფაკულტეტის სტუდენტ ენუქიძის პასუხად.
რედაქცია

ГОРНЫЕ ОРЛЫ

Стихи мои,
Взлетите вы
Смелей, как горные орлы,
Которые сквозь
Дым, мятель,
Несли в кольце свою шинель.
Из их рубах
Струился пот,
Но все-ж тащили пулемет.
Все вверх
И вверх
Идет отряд,
По снегу пушки лишь скрипят
Крошится вечный звонкий лед,
Они идут
И лиш вперед.

⁂

Что спеть дивизии мне славной
Чтоб этот подвиг величавий
В новой эпохе,
В чудный век
Поднялся выше
Чем Казбек!
Ей эту силу,
Дерзкую смелость
Влил новый класс
И класса зрелость,
Одна из первых
Лучших школ—
Родная партия
И Комсомол.
Взгляните вы—
Могучий род.—
Как ваши пушки, пулеметы,
В горах гремя протяжным свистом,
Перекосили рот фашистам.

И. А. СЕРГИЕНКО

ი. სერგიენკო
უკრაინელი ახალგაზრდა პოეტი
ლიტ-ფაკულტეტის რუსული სექციის
მე-2-ე კურსის სტუდენტი

პროფ. ვ. გეხტმანი.

აბისინია

(ეკონომ.-გეოგრაფიული მიმოხილვა)

შორეულ აფრიკაში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, იტალიის მტაცებელი ფაშიზმი თავს ესხმის აბისინიას, რათა დაიპყროს დაიმონოს და საკუთარ კოლონიად ექსპლოატაციის, ძარცვა-გლეჯის წყაროდ გადააქციოს იგი. აბისინიის ბუნების უდიდესი სიმდიდრე დიდი ხანია იპყრობს იმპერიალისტურ ქვეყნების ყურადღებას (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია); თვითოეულ მათგანს სურს ხელში ჩაიგდოს ეს მდიდარი ქვეყანა.

იტალიის პირველმა სერიოზულმა ცდამ—დაეპყრო აბისინია—ვერ მიაღწია მიზანს. 1896 წელს აბისინიის ჯარმა გაანადგურა ადუასთან იტალიის ჯარი, რის შემდეგაც იტალიელები იძულებულნი იყვნენ ჩამოეგდოთ ზავი აბისინიასთან.

ეს ზავი, რაღა თქმა უნდა, ვერ იძლეოდა გარანტიას შემდგომი იმპერიალისტური ზრახვების აღსაკვეთად.

1906 წელს დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და იტალიას შორის მოხდა შეთანხმება, რის საფუძველზედაც განაწილებულ იქნა ჩამოთვლილ ქვეყანათა გავლენის სფეროები აბისინიაში: დიდი ბრიტანეთი იღებდა კონტროლის უფლებას ფინანსებზე (ინგლის-აბისინიის ბანკი), საფრანგეთი—რკინის გზებზე (ჯიბუტი—ადის-აბების ხაზი), იტალია—ფოსტა-ტელეგრაფზე. ამასთან სახელმწიფოებმა აიღეს თავის თავზე ვალდებულება არ ჩარეულიყვნენ აბისინიის შინაურ საქმეებში.

1925 წელს მოხდა ხელმეორე შეთანხმება ინგლისსა და იტალიას შორის. პირველს მიეცა უფლება გამოიყენოს ტბა ცანი. რომელსაც აქვს თვალსაჩინო მნიშვნელობა ინგლის-ეგვიპტის სუდანისა და ეგვიპტის მორწყვისათვის, მეორეს—რკინის გზის გაყვანის უფლება ერიტრეასა და იტალიის სომალიში—ამ კოლონიების საზღვრებიდან აბისინიის საზღვრის მიმართულებით.

შვიდი წლის წინათ (2/VIII 1928 წ.) აბისინიამ დადო მეგობრობის ხელშეკრულება იტალიასთან, მაგრამ „მეგობრობა“ არ იყო ხანგრძლივი. 1934 წლიდან იტალია გადადის აქტიური შეტევის პოლიტიკაზე. და ყოველი საშუალებით ცდილობს გამოიწვიოს ომი.

1934 წ. 5 დეკემბერს ოაზის ცალუალის მახლობლად აბისინიის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციაში—ოგადენში, რომელიც იტალიის სომალის საზღვარზე იმყოფება, მოხდა შეიარაღებული შეტაკება იტალიის ადგილობრივ გარნიზონსა (იტალიამ შეიყვანა თავის ჯარი ცალუალში ჯერ კიდევ 1929 წ.) და აბისინიის ჯარს შორის. ეს ინციდენტი გამოიყენეს იტალიის ფაშისტებმა, როგორც Casus belli (ომის საბაბი) აბისინიასთან.

იტალიამ თავი მოუყარა დიდსა და კარგად შეიარაღებულ არმიას თავის კოლონიებში ერიტრეა და სომალიში და შეუტია აბისინიას ორი მხრიდან.

აბისინია ცნობილია არაბებთან „Habisch“-ის სახელწოდებით, ძველ დროში ეწოდებოდა ეთიოპია. ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს თავის ქვეყანას „Habasch“, და თავიანთ თავს „ითი ოპიავან“-ებს, აქედან წარმოდგა სახელწოდება „ეთიოპია“.

აბისინიის საერთო ფართობი უდრის 1.200.000 კვადრ. კილომეტრს; მოსახლეობა 10 მილიონამდე აღწევს.

ჩრდილოეთით აბისინია ესაზღვრება იტალიის კოლონიას—ერიტრეას, აღმოსავლეთით—საფრანგეთის, ბრიტანეთისა და იტალიის სომალის, სამხრეთით—იტალიის სომალის, ბრიტანეთის აღმოსავლეთ აფრიკას, დასავლეთით—ინგლის—ეგვიპტის სუდანს.

აბისინია წარმოადგენს მთიან ადგილს, რომელიც შედგება მრავალ ტერასებით აღმართულ მთებიდან, ალპებიდან და კლდეებიდან. ეს მთები ხშირათ წარმოადგენენ გრძელ, განუწყვეტლივ ქედს; ხანდახან სალი კლდეები, და პლატოები დგანან განცალკევებით, დაშორებულნი ერთი მეორისაგან ღრმა ხეობებით.

(დასასრული იხ. შემდეგ ნომერში)

გარდაცვალებიდან 20 წლის თავის გამო

1915 ვაჟა-ფშაველა 1935



პროფ. მ. ზანდუკელი

ვაჟა-ფშაველა და თერგდალეულები

ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში ნიჭიერად და მასთან ერთად მეტად ორიგინალურად შეერთებულია მთა და ბარი, ძველი და ახალი, წარსული, აწმყო და მომავალი. მგოსნის შემოქმედება მთელი ენციკლოპედიაა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების, უდაოდ დიდი სოციალური ძვრების ეპოქაში, ნიჭიერ პოეტურ სახეებში აღბეჭდილი.

ვაჟა ფშაველას ხილვისა და შემოქმედების ქვეყანა, ერთი შეხვედრით, თითქოს, ჩვენი ოფიციალური ლიტერატურისათვის უცნობია (პოეტი თითქოს ხალხური ზეპირ-შემოქმედების სამყაროს მოუჯაჭვავს და ისიც მას შესისხორცებული სხვა ქვეყანას აღარ ამჩნევს), მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხვედრაა მრავალწახნაგოვან რთულ პოეტურ ნიჭიდან.

თუ ვაჟა ფშაველასთან ახლო მივალთ, მის შემოქმედებაში აღმოვაჩენთ ძვირფას ორიგინალურ განძს, რომლის გამოჭედვაშიც გამოყენებულია კულტურული მემკვიდრეობა როგორც მთისა ისე, ბარისა, როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალურ ლიტერატურულ მიმართულებათა. ამიტომ შეუძლებელია დავეთანხმოთ იმ გავრცელებულ აზრს, რომ ვაჟა-ფშაველა „არავის ჰგავდა ამ ქვეყანაზე. არავითარ სკოლას არ ეკუთვნოდა, თვით ჩვენს მწერლებთან არაფერი აკავშირებდა, გარდა მოკრძალებისა ან წინააღმდეგობისა. ლიტერატურული ტრადიციების გარეშე იდგა.“

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ზერელე გაცნობაც კი მკითხველს უმალ გრძნობინებს მაზე ხალხური ზეპირშემოქმედების ტრადიციის დიდ კვალს. ხალხური ზეპირ შემოქმედებაც ხომ ლიტერატურის მთლიანი მიმდინარეობის ერთ-ერთი ძლიერი ნაკადია.

მაგრამ გარდა ამისა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ხარბადაა დაწაფებული ჩვენს ოფიციალურ ლიტერატურასაც.

კერძოდ, შეიძლება ითქვას, ის ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების საზღვარში იმყოფება.

ამის დამახასიათებელია ვაჟა-ფშაველას მთელი რიგი მიძღვნები და მიმართვები ილიასა და აკაკისადმი. მთის მგოსანი ილიასა და აკაკის თავის მასწავლებლებადაც კი სთვლის. ლექსში „შენდამი“ ვაჟა-ფშაველა ასე მიმართავს ილია ჭავჭავაძეს:

„ნუ ეჭვობ, მაინც შენი ვარ,
ვიდრე სულს ვლაფავ ტანჯულსა,
მინამდე სამუდამოდა
ჩემს მზეს არ ჰნახავ ჩასულსა;
მაშინაც ვერ მამიშორებ
შენს გულს და გონში ჩაქსულსა“.

ასეთსავე დამოკიდებულებას მწერალი გამოხატავს თერგდალეულ მწერალთა მეორე კორიფეისადმი — აკაკი წერეთლისადმი მისდამი მიძღვნილი სხვა და სხვა ლექსებში და კერძოდ ლექსში „აკაკის საიუბილეოდ.“

„იმავ ჭირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წყლულადა.“

ეს მიძღვნები და მათში „ნაყური გრძნობები“ უტყუარ გასაღებს იძლევა მწერლის თერგდალეულებისადმი დამოკიდებულების გასარკვევად.

მაგრამ მარტო ამ მიძღვნებით არ ამოიწურება ვაჟა-ფშაველას სიახლოვე ილიასა და აკაკისთან. მწერლის შემოქმედების ოდნავი გადასინჯვა გვარწმუნებს მათ მჭიდრო კავშირს.

60-იანი წლებიდან ცნობილი სოციალური ძვრების საფუძველზე ქართულ ლიტერატურაში საკმარისად მძლავრად განმტკიცდა უტილიტარული შეხედულება პოეტზე და მის დანიშნულებაზე. ეს შეხედულება ქართულ ლიტერატურაში ილიამ და აკაკიმ შემოიტანეს. ვაჟა-ფშაველამაც, ეს უცნაური, ყოველივე შემზღუდავ ჩარჩოებს ვულკანისებური სტიქიურობით რომ ლახავს, პოეტისა და პოეტური ნიჭის დანიშნულების სარგებლიანობის თვალსაზრისით აფასებს.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, პოეტური ქმედობისათვის გრძნობები და მწყობრი სიტყვები მათ გამოსახატავად მაშინ ზღვავდება, როდესაც „მადლს დასთვლის ათასობითა, ცოდვა რამ რჩება კენტადა.“ პოეტს მაშინ არ შეუძლიან არ გამოსთქვას თავისი გრძნობები, მონაა მაშინის თავის ჩანგისა. პოეტის თქმა მაშინ მის ნაცნობებსაც მოსწონთ, თავად მგოსანიც კმაყოფილია, ნასიამოვნები. მაშინ პოეტი გრძნობს თავის თავს ადამიანად, სიცოცხლის შინაარს, მის ძალუმ მაჯის-ცემას განიცდის.

„ქუხს ჩანგი, აღარ ისვენებს,
მეც მხოლოდ მღერა მწადისა;
იშლება, მღერაში დნება
ბუდე ყველა სხვა დარდისა.“

მაშინ პოეტი ბედნიერია, „მადლობელია მშობლისა,“ „თავის გაჩენის, გაზრდისა.“ ამგვარივე შეხედულება პოეტზე ვაჟა-ფშაველას სხვაც მრავალ ლექსშიაც აქვს გამოთქმული.

მაგრამ მგოსნის მდგომარეობა და განცდა მუდამ ასეთი არ არის. თუ პოეტს ცოდვები მოსჭარბდა, „სცემს მისი ჩანგი გული ბნელია.“ მაშინ მისი ყოველივე ცდა ლალად იმღერის, ცხელი სიტყვა თქვას, ფუჭად მიდის. მაშინ მისი ნიჭი და მარჯვენა „დაჩლუნგებულია, დამდგარი. ამ დროს მგოსნის ტანჯვა აუტანელია, გამოუთქმელია:

„ჯოჯოხეთში ვარ, ვიწვები,
გაჩენის დღესა ვწყევლია.
ასე ყოფილა, მგოსანსა
თუ მადლი გამოელია.“

ამისათვისაა, რომ ჩვენი პოეტი „დიდებულს იმას ეძახის, ვინც ანგარიშის გარეთა ქვეყნის ჭირსა და ვარამზე დაიქვითინებს მწარეთა.“ პოეტს მხოლოდ ის მიაჩნია სათაყვანებლად და სადიდებლად, რომელიც აზრისა და სიმართლისათვის კვდება. ვაჟა-ფშაველას გაგებით მხოლოდ ასეთ კაცზეა ალალი „ნანა და ძუძუ დედისა.“ ამგვარი განცდითა და რწმენით აიხსნება ვაჟა-ფშაველას „მოუღალავი მკლავითა“ და „გაუტეხელი გულით“ შეუპოვარი მიმართვა:

„რაც უნდა ჭირი მამკერძო,
ბუზთ არ შევეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ,
მოზღვავებულის ავითა!.“

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან მოტანილი ადგილები რომ შევადაროთ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შემოქმედების ანალოგიურ ნაწარმოებს, სიახლოვეს მათ შორის აშკარად დავინახავთ.

ვაჟა-ფშაველა არა მარტო ამ მიმართულებით უახლოვდება ილიას და აკაკის, არამედ მან თავისი ნიჭი თერგდალეულ მწერალთა ძირითადი მოტივის — ეროვნული გრძნობის ძალუმ საყვირად გადააქცია. ვაჟა-ფშაველას მთლიან შემოქმედებას რომ ჩავუკვირდებით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მთის მგოსანმაც სამშობლოსა და მისი კეთილდღეობისათვის მოქმედება და ზრუნვა თავის წმინდა მაგალითებად დაისახა, თბილ და ნათელ სხივად ჩაისვენა გულში. რამდენადაც ვაჟა-ფშაველას ფიქრი და ზრუნვა მჭიდროდაა გადაჯაჭვული სამშობლოს და მასზე ზრუნვას, იმდენად მისი შემოქმედება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება აპოლიტიკურად მივიჩნიოთ. და განა შეიძლება მწერალი და განსაკუთრებით ისეთი დიდი დიაპაზონის მქონე, როგორიც ვაჟა-ფშაველაა, აპოლიტიკური ყოფილიყო?!

ვაჟა-ფშაველა თავისებურად მქუხარედ ეხმაურება მე-XIX საუკუნეში ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაში მტკივნეულად დასმულ ეროვნულ საკითხს. მთის მგოსნისათვისაც სამშობლო და მისი დაცვა ადამიანობის ღირსებაა. სამშობლოსთან თავის დამოკიდებულებას პოეტი ასე გამოხატავს:

„ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენგან შობილი ოცნება
გულს შანთად გავიყარეო.“

ვაჟა-ფშაველას ამ გვარი განცდები და ძახილი გამოწვეული იყო იმ დროის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობით: საქართველოს ეკონომიურსა და პოლიტიკურად შევიწროებით, რაც შედეგი იყო რუსეთის ბიუროკრატიული მართველობის კოლონიალური პოლიტიკისა.

სამშობლოსადმი სიყვარულს მგოსანი თავდავიწყებამდის მიჰყავს. მზად ხდის მას ყოველივე მსხვერპლი გაიღოს. ამ გრძნობის გამოხატვას წარსულის ვაჟკაცობით დახატვით ახერხებს. პოემა „ბახტრიონი“ დიდი ოსტატობითა და ემოციონალობით ხატავს ისტორიულ სურათს: მთიელთა თემები — თუშ-ფშავ-ხევსურნი, როგორც ერთი კაცი, აღფრთოვანებულნი მამების მტრის შესამუსრავად სიამოვნებით მიდიან ომში. მკითხველის წარმოსახვაში ცოცხლად იხატება მთიელთა რაზმი-რაზმზედ მომდგარი, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ერთგულადა და ვაჟკაცურად შეაკვდება მტერს.

არა მარტო თემატიურად, არამედ შემოქმედების სხვა სტილიური ნიშნებითაც უკავშირდება ვაჟა-ფშაველა ილიასა და აკაკის. რასაკვირველია, ყველა მათგანი თავისებურია, განსაკუთრებით-კი ვაჟა ფშაველა. მაგრამ ეპოქის საერთო მოთხოვნილების საფუძველზე ურთიერთობას მაინც გარკვეულად აჟღავნებენ. ცხოვრების მიერ წამოყენებულ საჭირბოროტო საკითხებს მძლავრ ტონებში ეხმაურებიან.

საზოგადოებრივი ცხოვრების რყევა და რღვევა, გადაგვარება, გაჩინოვნიკება პირადი ინტერესის საზოგადოებრივზე მაღლა დაყენება, პირადი ინტერესებით სამსახურში გამოწვეული სიმხდალე, სილაჩრე, ცხადია, ვერც ვაჟა-ფშაველას დააკმაყოფილებდა. პოეტს ამ ნიადაგზე მთაშიაც ეწვევოდა ხოლმე სევდა. მაშინ ბარისკენ გამოსწევდა, მაგრამ ბარი უფრო ულრმავებდა მას სევდას, ამის მნახველი პოეტი ატირდებოდა ხოლმე.

მგოსანს დარღვევის გზაზე დამდგარი საქართველო მომტირალი, შვილებზე მომდურავი დედის სახით წარმოუდგებოდა ხოლმე („დედის ტირილი“) საქართველოს მდგომარეობა ვაჟასაც „საწყალ ამირანს აგონებს“ აქაც ახლო ნათესაობაა ილიასა და აკაკს და ვაჟას შორის.

უიმედობა ვაჟა-ფშაველასაც, როგორც თერგდალეულ მწერლებსაც ვერ იმორჩილებს. საქართველოს აწინდელი სავალალო მდგომარეობა მგოსანს გულს ვერ უტეხს, ვაჟაც ნისლებში გახვეულს ოდნავ ბჟუტავ ვარსკვლავს ხედავს, იქით იყურება. რწმენაც მამულისა მას არა სტოვებს. მომავლის იმედი მწერალს ავიწყებინებს არსებული მდგომარეობით გამოწვეულ ტკივილებს და სიამაყით; ალისიანად ასე მღერის:

„კიდევაც ვნახავ, — ეხვადა
ვარდნი, იანი ჰყვაოდენ,
ნაცარ მტვრად იყვნენ ქცეულნი,
ვინაც გუშინაც ზვაობდენ...
ჩვენის სიკვდილის მსურველნი
ყორნები აღარ ჩხაოდენ!..“

აქაც ვაჟას კილო, განწყობილება და ლექსთა წყობა ძალიან მოგვაგონებს თერგდალეულთა, განსაკუთრებით აკაკის, ლექსებს.

მაგრამ განვაგრძოთ:

მგოსანი ბაჩანასადმი პასუხში „მთამ სრულიად სხვა სთქვა“ ღრმა რწმენას გამოხატავს, რომ, თუ მოქალაქეთ გულში მტკიცედა აქვთ დაჭდეული მომავლის მიზანი — „სამშობლოს მიწანი მორწყონ ნაღვაწით, ოფლითა“ — აწინდელ გაჭირვებასა და უბედურებას ხალხი გაუძლებს. მგოსანი, როცა „სამერმისოს კარვს ხედავს, დღევანდელი დღის მწველობა სუსტად მიაჩნია.“ ვაჟა ცდილობს გაკაჟებული რწმენით ბაჩანას შთააგონოს მომავლის ურყევი იმედი. „რომ მომავალი ჩვენია, ამას რად უნდა მისანი?„ განა ასეთივე ხმა და კილო არ ისმის ილია ჭავჭავაძის ლექსში „ჩემო კარგო ქვეყანავ!“ მოიგონეთ მისი მიმართვა თავის ქვეყნისადმი: „თუ აწმყო არა გწყალობს მომავალი შენია!“ ან აკაკი წერეთლის — „ავადმყოფში:“ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და კვლავ ისევ გაიღვიძებს...“

ვაჟაც, როგორც თერგდალეულნი, დაუშრეტელ ძალას, სიყვარულსა და ხდომას გრძნობს სიცოცხლისადმი. ცხოვრების რწმენა და მიზანი ვაჟასთვისაც მოძმეთა გამოფხიზლება, მათი გაერთიანება, ძლიერი ერის შექმნაა.

„ერთობის გზაზე ვიაროთ, კერძოობის გზა ფიცხია“. — აი ერთ-ერთი ძირითადი მოტივი ვაჟას შემოქმედებისა. ამ იდეას, როგორც თერგდალეულნიც, ვაჟაც უსიტყვოდ, გაუტეხილად ემსახურება.

„დაე იცინოს ეშმაკმა,
თავზე მაყაროს ქოქოლა..
ჩემს რწმენას ვერ დაიმონებს
ბილწების გამგე ბობოლა“!..

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან ამგვარი მასალის მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ აღნიშნულიც, მჭერმეტყველურად ლალადებს, რომ ჩვენი მთის მგოსანი, როგორც თემატიურად, ისე სტილის სხვა ნიშნებითაც 60-იანი წლების მწერლებს ახლო ენათესავება. მაგრამ ეს ვაჟას მრავალფეროვანი და მეტად თავისებური შემოქმედების მხოლოდ ერთი მხარეა.

იაშა ბურჯულაძე.

ვაჟას ოთახი

სახ. უნივერსიტეტის (ყოფ. სამხედრო ჰოსპიტალი) ერთერთ აუდიტორიაში, სადაც ამჟამად ლექციები იკითხება გარდაიცვალა უდიდესი პოეტი ვაჟა-ფშაველა.

1.

— არ შემშურდება, ვინ შემოგფიცოთ თქვენი რამ კარგი, კარგო ბიჭებო,
თუგინდ გულიდან ვაჟასებური ათიათასი ჰიმნი იჭექოთ.
— ოღონდ მაშფოთებს და გულს მიბზარავს თანაც სახეზე თითქოს თოვლს მაყრის
რომ ჩემებრ ძმებო თქვენ არ გატყვევებთ: ეს სარეცელი და ეს ოთახი.
— ნუ თუ არ გახსოვთ ეს ამბავი თქვენთან მეორედ დამრჩა სათქმელად,
რომ აქ ებრძოდა სიკვდილის წუთებს, მთასა მყვირალი ვაჟა-ფშაველა.
— დღეს კი! ჩემ გვერდით მისი მემკვიდრე ზის და მდუმარებს, როგორც ქანდაკი,
ალბად სიკვდილის წინ მას ნატრობდა: „სად მყავს მიჩვენეთ ჩემი ვახტანგი.“
— დღეს კი წკეროულვაშ ამწვანებული სახე მლიმარი ვაჟას იერით,
ისწრაფის თქვენებრ ამ საუკუნის შეიქნეს: ბურჯი და ნაშიერი.
— მე კი? კვლავ ისევ სიმშვიდეს მიფრთხობს ლაღი ოცნების საფეხურები,
რადგან პოეტურ სიტყვის ბაჯაღლო ვაჟა შენ ისევ აქ მეგულები.
— აღარ მასვენებს, მკერდზე მასკდება სასოწარკვეთილ ამბოხარივით,
უკანასკნელი შენი გულის თქმა, უკანასკნელი ამოძახილი.

2.

„გაალეთ კარი, ეგების ნიავს შემოყვეს ძმებო ვარდის სურნელი,
წამიყვათ მთაში თქვენ გახარებას მე იქ ორ დღეში გავიკურნები.
აღარ მღებულობს ტფილისის ჰავა, აქ მშვიდ სუნთქვასაც წამს ვერ ვახერხებ,
შემობრუნეთ ფანჯრისკენ ტახტი, მამადავითის მთას შემახედეთ.
— აქეთ ვაჟაუ,
ამოყევ ბილიკს, აქ გელოდებით მე და ილია,
(მიხმობს აკაკი თუმც მისი სახე დღეს უწინდელზე დარცხვენილია)
ალბად სინდისი აწუხებს, ქეჯნის, რომ დამიწუნა მან ერთხელ ენა,
მე კი? არასდროს არ მიფიქრია, რომ მისი რჩევით რამ დამეწერა.
ვიხრჩვები, წყალი, მასვით, მაპკურეთ მამადავითის მთიდან ნაქუხი,
ეგების გული გამოაცოცხლოს ვით ნასიცხარი პურის თავთუხი.
ჩქარა გამხვიეთ მწვანე ფოთლებში და დილის ცვარით პირი გამბანეთ,
ჩქარა ბიჭებო, თქვენს მოლოდინში სიხარულისგან ვიწვი, ვკანკალებ.
— მშვიდობით ვკვდები,
უტყვო ბუნებავ, ალბად უჩემოდ დიდხანს იობლებ,
მშვიდობით ვკვდები,
მაგრამ მიმყვება, შენი ეშხი და შენი სიცოცხლე.“

3.

— ასე მღეროდა განსაცდელის ჟამს უკანასკნელად ვაჟა-ფშაველა,
და ეს ამბავი დღეს თქვენს წინაშე განმეორებით დამრჩა სათქმელად.
კითხეთ ამ ოთახს, ოთახის კედლებს თუ რამ გამორჩა ძმებო უთქმელი,
მჯერა კედლებიც ოცი წლის გზაზე ვაჟას სტრიქონებს ერთობ ყრუდ მღერის.
— თქვენ ხომ არასდროს არ გიფიქრიათ, მათთვის ერთხელაც, რომ მოგესმინათ,
დღეიდან მაინც გწამდეთ, გიყვარდეთ სასიქადულო პოეტის ბინა.

ლიტერატურული საღამო

3 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში ლიტერატურული ფაკულტეტი მართავს ვაჟა ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლის თავის აღსანიშნავ სხდომას.

დღის წესრიგი:

1. შესავალი სიტყვა — ვაჟა-ფშაველა და თანამედროვება — **ბ. ბუაჩიძე.**
2. მოხსენება — ვაჟა ფშაველას შემოქმედება — პროფ. **მ. ზანდუკელი.**
3. მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე — პროფ. **ა. შანიძე, ვ. რაზიკაშვილი.**
4. სიტყვები: ვახტანგ კოტეტიშვილი, ს. ჯანაშია, ვ. ასათიანი, გ. აბზიანიძე, სერ. ჭილაია.
5. ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ლექსები: ალ. გომიაშვილი. გ. კაჭახიძე, გრ. აბაშიძე, დ. ჩოგოვაძე ზ. დოლიაშვილ, გრ. ესებუა, დ. შამათავა, ი. ბურჯულაძე.
6. ვაჟა-ფშაველას ლექსები.

ლიტ. ფაკ. დეკანატი

დავით შამათავა

ვაჟასეული ფიქრები

(მიძღვნა)

გახარებ, დიდხანს ელოდე,
გულშიაც გისხდენ იჭვები,
ჯოყოლას დაუმეგობრდენ
ზვიადაურის ბიჭები...

გული დაიპყარ იმთავად,
ერთობ კარგი ხმით შრიალებ.
ათიათასჯერ, ვფიცავარ,
სხეულში შემაჟრიალე.

მისთვის მიყვარხარ მთებისა
ლაღად მყვირალი ირემი.
შენი შვილის ნუკრის ბედისგან
ბევრჯერ ვარ ანატირები.

ეს ქუჩი ერთი მტკაველა,
ან ღრუბლები რომ მიდიან.
აამეტყველე მთაველად,
როგორც მისანი მინდია.

ირგვლივ ეგ შენი მთებია,
სიხარულით რომ დაუვლი,
თემ-სოფელს დაჰბრუნებია
ჯალაბით ქეთელაური.

როდი მრისხანებს მუქარით,
ბარი, ხევი და მთაველი,
დღეს სხვაგვარ წერილს უგზავნის
ღრმა მოხუც დედას ფშაველი.

მთებს მკერდი გადაუშლიათ.
ფართო, ვაჟკაცურ მხრიანი...
შენ გიყვარდა გულშიაც —
მათი დეკა და ღვიანი.

გახარებ, რასაც ელოდე,
გულშიაც გისხდენ იჭვები,
ჯოყოლას დაუმეგობრდენ
ზვიადაურის ბიჭები..

წერილები ჯგუფებიდან

ფორმალური აღრიცხვის შეცვლისათვის

წესია: ლექციის დაწყების შემდეგ სტუდენტი აუდიტორიაში ვერ შეხვალ. ეს კარგია: ჯერ ერთი, ამით თავიდან ავიცილებთ იმ უწესრიგობას, რომელსაც დაგვიანებით შემოსვლა იწვევს; მეორეცაადა, სტუდენტი ამით დისციპლინას ეჩვევა.

მაგრამ ვთქვათ, სტუდენტს ერთი წუთით შეუსწრო ლექტორმა აუდიტორიაში; სტუდენტი მთელ საათს აცდენს. სასკოლო ჟურნალში ერთი საათის გაცდენას კი არ აღნიშნავენ, არამედ მთელი ლექციისას. ვთქვათ ლექცია 3 საათს გრძელდება. სტუდენტი ერთს ვერ დაესწრო, დანარჩენ ორს—კი. მას მაინც სამი საათი ეთვლება გაცდენილად; ხოლო, თუ სტუდენტმა სამი საათი გააცდინა, როგორც წესი, უნდა დაისვას საკითხი მისი უნივერსიტეტში ყოფნა-არ ყოფნის შესახებ. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აღრიცხვა არაა ზუსტი!

შეიძლება საკითხი ადვილად მოგვარდეს: სტუდენტს გაცდენილად უნდა ჩაეთვალოს მხოლოდ ის საათი, რომელიც მან ფაქტიურად გააცდინა.

ა. ყ.

ჩვენც დაგვირეკეთ ზარი!

უნივერსიტეტის მე-2-ე კორპუსის ნაწილი გამოყენებულია სამეცადინო აუდიტორიებად. მეცადინეობა მიმდინარეობს, მაგრამ რატომღაც სახ. უნივერსიტეტის შინა განაწესი მეორე კორპუსზე არ ვრცელდება. მეცადინეობას ხელს უშლის დერეფნებში უდროო დროს სიარული, ხმაური; ეს უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ კორპუსს საათი არ აქვს და ყველა თავის სურვილისამებრ იწყებს და ათავებს ლექციას. როდესაც ერთს აუდიტორიაში ლექცია მიდის, მეორე ჯგუფი ისვენებს და ხმაურობს.

საჭიროა, უნ-ტის ადმინისტრაციამ მიაქციოს ყურადღება ამ მდგომარეობას.

ი. ო. კუჭავა

„Сделаем Нашу Учебу Оброзцовой“

Исключительное внимание, проявляемое партией и правительством к вопросам подготовки кадров, дало мощный толчек к перестройке работы наших ВУЗов. Тифлисский Государственный Университет в текущем академическом году пришел к новому учебному году более подготовленным, чем в истекшем году. Приемные испытачия прошли организованно, без обычной сутолоки и большого количества поступающих „новичков“. Иначе выглядят и наши аудиторий,—обширные и светлые, со свежевыкрашенными партами, досками и столами. Расширен читальный зал библиотеки и много других мероприятий, создающих благоприятные условия учебы.

Но несмотря на большую работу, проведенную в этом году, университет еще не во всем удовлетворяет требованиям партий и провительства.

Студенты литературного факультета русск. сектора до сих пор не имеют программ ни по одному предмету. Учебные планы и программы деканат подвергает ежедневным изменениям. (II-му курсу лит.факта в начале учебного года в программу курса были включены два предмета: История Западно-Европейской литературы и Психология, но через одну шестидневку эти предметы были сняты и заменены другими). Нет также закрепленных за курсами аудиторий, что заставляет терять мнго времени на поиски свободной аудиторий.

Все это приводит к неустойчивости в прохождении наук и дезорганизации учебной работы.

В общем, речь идет о том, чтобы лучше организовать учебный процесс.

Деканату лит.фак-та нужно ликвидировать все эти организационные недостатки и тем самым выполнить одну из ответственнейших задач партии и правительства о подготовке кадров.

РОЗИН

მოგვეცით სამეცადინო აუდიტორია!

ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ დაინახოს ის მიღწევები, რომლებიც სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია.

სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ყოველგვარი პირობები იმისთვის, რომ ნორმალური მუშაობა წარმოებდეს ყველა ჯგუფში.

ქიმიური მე-5 კურსის ჯგუფს (47 კაცი) ყოველ დღე 6 საათი აქვს ლექცია ქიმიის პრაქტიკუმისათვის დანიშნულ ბნელსა და უვარგის აუდიტორიებში. აღნიშნულ აუდიტორიებში დღისით არაა სინათლე და ღამით რაღა იქნება?!

ელექტრონზე ლაპარაკი ზედმეტია: ლექციები იკითხება ჭრაქის სინათლეზე, აუდიტორიაში დახუთული ჰაერია, გვერდით კლუბია, სადაც ფიზკულტურის ვარჯიშობა წარმოებს და სასულე ორკესტრი მეცადინეობს. აუდიტორიაში რომ ლექცია მიმდინარეობს, გვერდით. მუსიკა უკრავს! ლექცია შეუძლებელი ხდება. ამასთან ერთად იმართება ვაჭრობა ვინ უნდა დატოვოს აუდიტორია ჩვენ თუ იმათ. მეორე გვერდიდან ქიმიური ლაბორატორია გვთავაზობს დამახასიათებელ გაზებს!

ერთი შემთხვევაც: 8/X ლექცია გაცდა; შეუძლებელი ხდება, დეკანის მოადგილე შაოშენიძემ ჩაატაროს ფიზიკურ ქიმიაში სემინარი: ბნელი აუდიტორია ბნელი ლამფით არ იძლევა ამის შესაძლებლობას; ლექტორი მაინც დაჟინებით მოითხოვს სემინარის ჩატარებას. ყველამ იცის, თუ რა ფასიც ექნება ასეთ პირობებში ჩატარებულ ლექციას, ისიც ფიზიკურ ქიმიაში.

ლექციები სისტემატურად ცდება. არას ვტყვით იმაზე, რომ ასეთ აუდიტორიაში მუშაობა საფრთხეს უმზადებს სტუდენტის ჯანმრთელობას. საჭიროა სასწრაფოდ გამოინახოს სინათლიანი და სუფთა სალექციო აუდიტორია.

გ. ცხაკაია

სანიმუშოთ შევისწავლოთ!

პარტიის ისტორიის შემსწავლელ პოლიტ-სკოლაში, № 12; გაერთიანებული არიან ეკონ. ფაკულტეტის 104 ჯგუფის სტუდენტები. პირველი და მეორე მეცადინეობა სანიმუშოდ ჩატარდა, მეცადინეობას დაესწრო ყველა მსმენელი; პოლიტ-სკოლის მსმენელებში დიდ ინტერესს იწვევს ა/კ. ბოლშევ. ისტორიის შესწავლის საკითხი. სკოლას ხელმძღვანელობს გამოცდილი და ენერგიული პროპაგანდისტი ამხ. ლომაძე.

პარტიის ისტორიის შემსწავლელი პოლიტ-სკოლის, № 12, მსმენელები სანიმუშო გავხდებით ა/კ. ბოლშევიკების ისტორიის შესწავლის საქმეში ბერიას მოხსენების საფუძვლიანი ათვისებით.

გირკელიძე

:პატარა ფელეტონი:

„ჩემი ბიჭია“...

ირგვლივ წესრიგი სუფევს, ზარი აწკრიალდა. ყოველი სტუდენტი ლექციისაკენ მიისწრაფის დაცარიელდა დერეფნები, მოაჯირები, ბაღი. სიმშვიდეს აქა იქ აუდიტორიებიდან გამოპარული ღიღადი არღვევს ლექტორებისა.

უნივერსიტეტის ბაღის ბილიკებზე ორი სილუეტი რონინებს. ხიავისაგან შერხეული ზამბახები და ალვანდრები სალამად უხრის მათ თავებს.

სილუეტები მტრედებივით მიღუღუნებენ...

— ოხ... დავიღალე ამდენი სიარულით...

— ოხ... რას ამბობ... ჩამოვსხდეთ აქვე, ამ ჩინურ თუთის ძირას მდგომ სკამეიკაზე...

— ოჰ... ეთერი!..

— ოჰ... კაკო!..

— კაკო! გაცდენებისთვის ხომ არაფერს გვეუბნებიან?

— როგორ თუ მეუბნებიან... ის ხომ ჩემი ბიჭია.

თუმც ჯგუფში კომორგი და აკადემიური მომუშავე გადამეკიდა... მათთან არაფერი გამომდის... ღნიშნავენ და ღნიშნავენ ჟურნალში...

დეე სწერონ და სწერონ გაცდენები... იანგარიშონ... შეაჯამონ... ბალანსი კარგი ექნებათ. სულ 80-იოდ გაცდენა მაინც მექნება. მაგრამ რა? ის ხომ ჩემი ბიჭია... რას დამაკლებენ...

— მეც ასევე კაკო?

— რა თქმა უნდა გენაცვალე ამასთან“ შენთვისაც ვაკეთებ საქმეებს... ნურაფრის შიში ნუ გაქვს...

— კაკო! შემთავაზე ის ლამაზი ყვავილი?

— ეხლავე გენაცვალე. არც ისე ახოვანი ვაჟის სილუეტი ბაღში — შლეგიანივით შეიჭრა და თეთრი ზამბახი აატირა...

— ინებე ეთერი!

— მერსი...

— ნიჩავო ნე კუპლიუ...

— კაკო შენზე ამბობენ საგნები არ ჩაუბარებიაო... გარიცხვა ხომ არ მოგელის?

ამას უთუოდ ჩემი ჯგუფის წევრები იტყოდენ... ან და რა უნდათ იმ უნიჭოებს... პროფესორები ყველა ჩემი მეგობრებია. ზოგს მატრიკულში შინაურულად მოვაწერინე ხელი, ზოგისაც დავალიანება მაქვს მაგრამ „ის“ ხომ ჩემი ბიჭია...

— კაკო! აწი მაინც დაესწარი ლექციებს თორემ შენს ბიჭს ოდესმე წყაროზევე გაუტყდება ოქროს სურა.

ჯავრი ნუ გაქვს ეთერი! ჩემი ბიჭი ჭკვიანია, სურა არაოდეს გაუტყდება... ჩვენ სამარადჟამოთ შეგვიძლია იმ ოქროს სურით ვსვათ სეირნობის ვეშაგ წყარო.

ზარი კვლავ აწკრიალდა... სტუდენტობა სუფთა ჰაერზე გამოეფინა...

— კაკო! ლექციას რათ არ ესწრები?

— რა ვქნა გენაცვალე, ლიუდმილა (ჯგ. № 56-ის აკ. მომუშავე), კონსერვატორიიდან აი ესვცაა ეხლა მოვედი... და შეიძლება ისევ წავიდე... გასამართლებულ საბუთს უსათუოდ მოგიტან...

კვლავ ლექცია იწყება...

სიჩუმე ჩამოვარდა ბაღში. სილუეტები ისევ რონინებენ.

— ეთერი! ჩემზე ხომ გაგიგონია რომ ამბობენ იშვიათი ხმა აქვსო...

— ჰო, ამბობენ, აბა ახლა მიმღერე. ოღონდ ხმა დაბლა...

— ეხ... კაკო!..

ეხ... ეთერი!..

ეხ... დეკანატო... როდემდის უნდა ტანჯოთ ეთერი და კაკო უნივერსიტეტში... განათავისუფლეთ იგინი მტანჯველი ბორკილებისაგან, რათა ჩვეულებისამებრ ირონინონ გულის ზამბახებმა ზამბახოვან ბილიკებზე...

მაგრამ, ეხ... რექტორატო! აივსო მოთმინების ფიალა... ოთხიწელია ამ კაცზე ტყვილა იკარგება სახელმწიფო თანხები, მისგან ისე არაფერი არ გამოვა, როგორც ჩემგან „მორიელისაგან“ სკრიპკა. ეს ვაჟბატონი ხომ ოთხი წელია რეკორდებს ამყარებს გაცდენებისას, საგნების ჩაუბარებლობისას, ქარაფშუტობისას... — ჭორიკანობისას. მოვაცილოთ ეს ნაგვიანები ეპოქის დონჟუანის მტვერი უნივერსიტეტს. გაუშინჯოთ კბილი მის ცოდნას, მის „ყოფიერებასა და აზროვნებას.“ მოვაშოროთ უნივერსიტეტის „ჩემი ბიჭიც“ რომელიც ამ მტვერს ცუდი დიასახლისივით ლოგინს ქვეშოთ მალავს...

„მორიელი“

სწავლების მაღალი ხარისხისათვის

გარკვეული მიღწევები გვაქვს პროგრამების შედგენის საქმეში მცირე გამონაკლისს გარდა პროგრამები დისციპლინაში, ყველა იმ რომლებიც იკითხება ჩვენს უნივერსიტეტში.

მაგრამ ზოგიერთი პროგრამის ავტორები არ ხელმძღვანელობენ პროგრამების შედგენისათვის საჭირო სქემით, ამიტომ ხშირად საჭირო ხდება მათი პროგრამების გადამუშავება. გარდა ამისა მოიპოვებიან ისეთი პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაც დღემდისაც არ წარმოუდგენიათ პროგრამები. ასე, მაგალითად, მიუხედავად არა ერთგზისი გაფრთხილებისა და თხოვნისა დღემდის არ წარმოუდგენიათ თავის საგნის პროგრამები პროფ. გ. ჯავახიშვილს (ანთროპოლოგია, ზოოლოგია), პროფ. რ. ხუციშვილს (ელექტროდინამიკა, ფარდობითი თეორია) და პროფ. ლ. მელიქსეთბეგს (სომხური ლიტერატურა) და სხვა.

ამის მოთმენა ყოვლად შეუძლებელია, მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა იქნეს მიღებული გადამწყვეტი ზომები.

საჭიროა და დროულიც გამოიცეს ცალკე კრებულების სახით, როგორც მეთოდური წერილები ისე სტაბილური პროგრამები ციკლების მიხედვით.

შემდეგი ამოცანა, რომელიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ეს არის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა სტუდენტებისა; ამ ამოცანის გადაწყვეტა დამოკიდებულია კათედრების მუშაობაზე. ამ მხრივ ჩვენი კათედრების მუშაობა უსათუოდ უნდა გარდაიქმნას. ყოვლად დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, როცა მთელი რიგი წლების განმავლობაში კათედრას არ უზრუნავს იმისათვის, რომ მოეწოდებინა სტუდენტებისათვის თუნდაც თარგმნილი სახელმძღვანელო კათედრაში შემავალი დისციპლინების შესასწავლად. ეს ხარვეზი, რაც შეიძლება დაჩქარებით, უნდა იქნეს გამოსწორებული. როგორც დროებითი ზომა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მაღალხარისხოვანი ლექციების დასტენოგრამება, ან სტუდენტის მიერ შედგენილი და შემდეგ ხელმძღვანელის მიერ გასწორებული ლექციების კონსპექტების გამოცემა ზოგიერთ საგნებში.

თანამშრომელი

ქვ. ჩამოთვ. საბუთები ჩაითვ. გაუქმებულად

— პროფკავშირის წიგნაკი ალექსანდრე ქურულორიას სახელზე.

— პროფკავშირის წიგნაკი თამარი დარსაველიძის სახ.

— პასპორტი № 1000000, მატრიკული ა. ლ. ქ. ქ. წევრობის, დრ. მანდატი პროფ. კავშირის წიგნაკი და სტ. მოწმობა მერი ლალიძის სახ.

— პასპორტი ნინა ბახტაძის სახ. პროფკავ. წიგ. სერ. გავრილოს სახელ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფია
მთავლიტის რწმუნებული № დ-32